3. განათლება

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება.



მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველია აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. ეროვნულ დონეზე შექმნილი სკოლამდელი განათლების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში განვითარების მიმდინარეობის შესაფასებლად. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

3.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

პროგრამის მიზანი: სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა

პროგრამის აღწერა: პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა.

3. საჯარო სკოლების დაფინანსება

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა (რეაბილიტაციის მიზნით); აგრეთვე საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას. ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

4.1 სპორტის სფეროს განვითარება

პროგრამის მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება-პოპულარიზაცია, საქართველოს ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ ფედერაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის;



სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამა ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ნაკრები გუნდების წევრთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტის სხვადასხვა სახეობაში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; ქართული საბრძოლო ხელოვნების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა. მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება.

მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზებზე და სხვა.

4.2 კულტურის სფეროს განვითარება

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო გარემო შეიქმნას ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას.

თავისუფალი თეატრალური პროექტების, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას, როგორცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვნების ჩართულობა, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება და სხვა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ა(ა)იპ – კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი.

4.3 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომლებიც გაგრძელდება ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველი ფენის ხელმისაწვდომობას ჯანდაცვისა და მომსახურების სხვადასხვა სერვისზე.

5.1. ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით.



პროგრამის აღწერა: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა დკსჯე ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და „C“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონარული მომსახურება. პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების იმ სამედიცინო მომსახურების წილის დაფინანსებას ან თანადაფინანსებას, რაც არ ფინანსდება ან/და ნაწილობრივ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან/და კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ.

5. ამბულატორიის მშენებლობა-რემონტი

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ოფისის მშენებლობა.

5.3. სოციალური დაცვა

პროგრამის მიზანი: მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

პროგრამის აღწერა: სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისათვის (მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ, უსახლკარო და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები).

სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგის სახის ქვეპროგრამები:

- სოციალურად დაუცველი, მარტოხელა და შეჭირვებული მოსახლეობის უფასო კვება;
- სტიქიური უბედურების (ხანძარი და ქარიშხალი) შედეგად დაზარალებულთა დახმარება;
- დედ-მამით ობოლი ბავშვების ოჯახებზე ერთდროული დახმარება;
- მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა;
- ომის ვეტერანების დახმარების პროგრამა;
- სამშობლოს დაცვისას დაღუპულ და ომის შედეგად გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები;
- გარდაცვლილ დევნილთა ოჯახისათვის სარიტუალო ხარჯი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა;
- ყრუ-მუნჯების და ჩერნობილელთა დახმარების პროგრამა;
- დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა;
- მკვეთრად გამოხატული 1 ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა დახმარების პროგრამა;
- ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა;
- მრავალშვილიანი ოჯახების სამი და მეტი შვილი (0-18 წლის ასაკამდე) ოჯახისათვის დახმარება;
- 100 წლის და 100+-ზე მეტი ასაკის უხუცესთა დახმარება;
- თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა;

აღნიშნული პროგრამები განხორციელდება საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.



მუხლი 15. აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	აბაშის მუნიციპალიტეტი	11608,3	13107.6	6049.6	7058.0	12064.6	4283.6	7781.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	107	129	0.0	129	129	0.0	129
	ხარჯები	5437,8	5755.5	177.4	5578.1	7334.2	505.2	6829.0
	შრომის ანაზღაურება	1449,1	1605.5	0.0	1605.5	1796.4	0.0	1796.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3584,0	7316.6	5872.2	1444.4	4683.4	3778.4	905.0
	ვალდებულებების კლება	136.7	0.0	0.0	0.0	47.0	0.0	47.0
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2080,4	2278.7	0.0	2278.7	2636.0	0.0	2636.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	101	123	0.0	123	124	0.0	124
	ხარჯები	2077,3	2243.2	0.0	2243.2	2576.5	0.0	2576.5
	შრომის ანაზღაურება	1386,9	1543.1	0.0	1543.1	1742.6	0.0	1742.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	35.5	0.0	35.5	47.0	0.0	47.0
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	665,4	786.5	0.0	786.5	829.7	0.0	829.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	26	31		31	31		31



	ხარჯები	663,8	786.5	0.0	786.5	829.7	0.0	829.7
	შრომის ანაზღაურება	426,2	521.7	0.0	521.7	542.7	0.0	542.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1415,0	1428.9	0.0	1428.9	1723.3	0.0	1723.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	75	92		92	93		93
	ხარჯები	1413,5	1428.9	0.0	1428.9	1723.3	0.0	1723.3
	შრომის ანაზღაურება	960,7	1021.4	0.0	1021.4	1199.9	0.0	1199.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	12.5	0.0	12.5	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	0.0	12.5	0.0	12.5	20.0	0.0	20.0
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	0.0	50.8	0.0	50.8	63.0	0.0	63.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	15.3	0.0	15.3	16.0	0.0	16.0
	ვალდებულებების კლება	0.0	35.5	0.0	35.5	47.0	0.0	47.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	73,7	82.0	0.0	82.0	72.3	0.0	72.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	6.0	5.0	0.0	5.0	5	0.0	5
	ხარჯები	73,7	82.0	0.0	82.0	72.3	0.0	72.3
	შრომის ანაზღაურება	62,2	.624	0.0	.624	53.8	0.0	53.8



02 01	სახანძრო-სამაშველო სამსახური	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და სამოხილავი სამსახური	73,7	82.0	0.0	82.0	72.3	0.0	72.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	6.0	6.0	0.0	6.0	5	0.0	5
	ხარჯები	73,7	82.0	0.0	82.0	72.3	0.0	72.3
	შრომის ანაზღაურება	62,2	.624	0.0	.624	53.8	0.0	53.8
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4354,0	7946.6	5833.3	2113.3	5432.3	3782.5	1649.8
	ხარჯები	805,6	965.7	177.4	788.3	1106.6	115.2	991.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3412,1	6980.9	5655.9	1325.0	4325.7	3667.3	658.4
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	3141,7	3129.7	2395.5	734.2	2371.2	1887.5	483.7
	ხარჯები	125.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2970,2	3129.7	2395.5	734.2	2270.0	1786.3	483.7
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	194,1	595.0	394.5	200.5	446.1	396.5	49.6
	ხარჯები	19.5	12.0	0.0	12.0	11.4	0.0	11.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	149.1	583.0	394.5	188.5	434.7	396.5	38.2
03 02 01	გარე განათების მოწყობა- რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	56.4	472.6	394,5	78.1	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	56.4	457.5	394.5	63.0	0.0	0.0	0.0
03 02 02	დასუფთავების ღონისძიებები	5.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	5.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 03	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა- რეაბილიტაციის ღონისძიებები	56,3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	14,5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16,2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 04	ბინათმშენებლობა	76,5	122.4	0.0	122.4	446.1	396.5	49.6
	ხარჯები	0,0	7.9	0.0	7.9	11.4	0.0	11.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	76,5	114.5	0.0	114.5	434.7	396.5	38.2
03 03	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა- რეაბილიტაცია	47.2	2103.7	1982.3	121.4	485.2	458.4	26.8
	ხარჯები	0.0	177.4	177.4	0.0	14.0	14.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	47.2	1926.3	1804.9	121.4	471.2	444.4	26.8
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	164,4	7,6	0.0	7,6	580.0	500.0	80.0
	ხარჯები	23.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	94,9	7,6	0.0	7,6	580.0	500.0	80.0
03 05	მუნიციპალტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	806,6	2110.6	1053.4	1057.2	1529.8	540.1	989.7
	ხარჯები	637,3	776.3	0.0	776.3	960.0	0.0	960.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	150.8	1334.3	1053.4	280.9	569.8	540.1	29.7



03 05 01	სკვერების, ფასადების, პარკების, საცხოვრებელი სახლების ეზოების მოწყობა	169.3	1339.3	1053.4	285.8	629.8	540.1	29.7
	ხარჯები	0.0	4.9	0.0	4.9	60.0	0.0	60.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	150.8	1334.3	1053.4	280.9	569.8	540.1	29.7
03 05 02	ა(ა)იპ აბაშის კეთილმოწყობა	637,3	771.4	0.0	771.4	900.0	0.0	900.0
	ხარჯები	637,3	771.4	0.0	771.4	900.0	0.0	900.0
03 06	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	0.0	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
03 06	ტურიზმი	0.0	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	20.0
04 00	განათლება	896,0	944.2	0.0	944.2	2035.6	390.0	1645.6
	ხარჯები	602.8	901.5	0.0	901.5	1817.8	390.0	1427.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	123,4	42.7	0.0	42.7	217.8	0.0	217.8
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	895,3	927.9	0.0	927.9	1098.5	0.0	1098.5
	ხარჯები	772,0	900.0	0.0	900.0	1098.5	0.0	1098.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	123,4	27.9	0.0	27.9	0.0	0.0	0.0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	0.7	1.5	0.0	1.5	937.1	390.0	547.1
	ხარჯები	0.7	1.5	0.0	1.5	719.3	390.0	329.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	14.8	0.0	14.8	217.8	0.0	217.8
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული	1010,0	968.3	0.0	968.3	1017.0	0.0	1017.0



	ღონისძიებები							
	ხარჯები	964,4	922.7	0.0	922.7	1017.0	0.0	1017.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	45,6	45.6	0.0	45.6	0.0	0.0	0.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	454,4	359.2	0.0	359.2	320.0	0.0	320.0
	ხარჯები	414,2	326.4	0.0	326.4	320.0	0.0	320.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	40,2	32.8	0.0	32.8	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	555,7	576.2	0.0	576.2	647.0	0.0	647.0
	ხარჯები	550,2	576.2	0.0	576.2	647.0	0.0	647.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	481,8	83.9	0.0	83.9	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	83.9	0.0	83.9	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 03	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	25,2	25.2	0.0	25.2	32.0	0.0	32.0
	ხარჯები	25,2	25.2	0.0	25.2	32.0	0.0	32.0
05 02 04	კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	0.0	441.1	0.0	441.1	585.0	0.0	585.0
	ხარჯები	0.0	441.1	0.0	441.1	585.0	0.0	585.0
05 02 05	სხვა კულტურული ღონისძიებები	48,7	26.0	0.0	26.0	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	46,1	26.0	0.0	26.0	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	0.0	12.8	0.0	12.8	0.0	0.0	0.0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	12.8	0.0	12.8	0.0	0.0	0.0
05 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური ძეგლების მოვლა-პატრონობა	0.0	20.1	0.0	20.1	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	0.0	20.1	0.0	20.1	50.0	0.0	50.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	744,5	887.8	216.3	671.5	871.4	111.1	760.3
	ხარჯები	744,5	640.4	0.0	640.4	744.0	0.0	744.0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	103,8	109.2	0.0	109.2	109.2	0.0	109.2
	ხარჯები	103,8	109.2	0.0	109.2	109.2	0.0	109.2
06 02	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა-რემონტი	320,5	447.7	216.3	231.4	260.0	0.0	260.0
	ხარჯები	320,5	200.3	0.0	200.3	260.0	0.0	260.0
06 03	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	320,3	330.9	0.0	330.9	4.837	0.0	4.837
	ხარჯები	320,3	330.9	0.0	330.9	4.837	0.0	4.837
06 03 01	სოციალურად დაუცველი, მარტოხელა, შეჭირვებული მოსახლეობის უფასო კვება	48,1	52.8	0.0	52.8	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	48,1	52.8	0.0	52.8	50.0	0.0	50.0
06 03 02	სტიქიური უბედურების (ხანძარი, წყალდიდობა, ქარიშხალი) შედეგად დაზარალებულთა დახმარება	47.9	25.6	0.0	25.6	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	47.9	25.6	0.0	25.6	30.0	0.0	30.0
06 03 03	დედ-მამით ობოლი და მარჩენალდაკარგული ბავშვების, ოჯახების და ომის ვეტერანთა	49,6	54.5	0.0	54.5	56.8	0.0	56.8



	სოციალური უზრუნველყოფა							
	ხარჯები	49,6	54.5	0.0	54.5	56.8	0.0	56.8
06 03 04	სარიტუალო მომსახურება	6,0	6.5	0.0	6.5	6.5	0.0	6.5
	ხარჯები	6,0	6.5	0.0	6.5	6.5	0.0	6.5
06 03 05	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, ყრუ- მუნჯი და ჩერნობილელთა დახმარების, დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის დახმარების პროგრამა	56,3	70.4	0.0	70.4	76.0	0.0	76.0
	ხარჯები	56,3	70.4	0.0	70.4	76.0	0.0	76.0
06 03 06	ახალშობილთა ოჯახების, მოსახლეობის სოციალური და 100 წლის და 100-ზე მეტი ასაკის უზუცესთა დახმარება	112,4	118.6	0.0	118.6	0.514	0.0	0.514
	ხარჯები	112,4	118.6	0.0	118.6	140,5	0.0	140,5
	მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება	0	2.5	0	2.5	0.0	0	0.0
	ხარჯები	0	2.5	0	2.5	0.0	0	0.0
06 03 07	თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ზინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0	15.0	0.0	15.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	15.0	0.0	15.0

თავი VII

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 16.

აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.



მუხლი 17.

აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 18.

2019 წლის განმავლობაში აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 19.

აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20.

1. აბაშის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი თვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21.

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 22.

მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 04-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2019 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 23.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 24.



1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 147.0 ათასი ლარი მიიღმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 70.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 72.3 ათასი ლარი.

გ) მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯები – 2,5 ათასი ლარი;

დ) გარდაცვლილ დევნილთა ოჯახისათვის სარიტუალო ხარჯები – 2.2 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

მუხლი 25.

2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 20.0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა კვიტაშვილი

